დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ტურიზმის მენეჯმენტი“

უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 4 აპრილი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 მაისი 2023

თბილისი 2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 21

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 30

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 48

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ შპს ევროპის უნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ტურიზმის მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Tourism Management
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში Master of Business Administration / MBA – Tourism Management
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015 Travel, tourism and leisure 1015
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	30 დეკემბერი 2020 გადაწყვეტილება 1243301
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	გამოცდა ინგლისურ ენაში B2 გამოცდა სპეციალობაში

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გადის ხელახლა აკრედიტაციას, პროგრამამ პირობითი აკრედიტაცია მიიღო 2020 წლის 30 დეკემბერის, გადაწყვეტილება #1243301.

წარმოდგენილი პროგრამა არსებითად არის გადამუშავებული, მასში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საერთო სამაგისტრო გამოცდა, ბსუ-ს გამოცდა სპეციალობაში და ბსუ-ს გამოცდა B2 დონის ინგლისურ ენაში. ამასთანავე, დაშვებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის განსაზღვრულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ჩარიცხვაც.

პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია, სწავლება 4 სემესტრი, კრედიტების გადანაწილება ტურიზმის მენეჯმენტი - 35 კრედიტი, ტურიზმის მდგრადობა - 5 კრედიტი, კვლევითი უნარები 10 კრედიტი, ინგლისური ენა 15, არჩევითი დისციპლინები 15 კრედიტი, პრაქტიკა - 10 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტურიზმის მენეჯმენტი“, აკრედიტაციისთვის ვიზიტისთვის წინამოსამზადებელი შეხვედრა ჩატარდა 2023 წლის 3 აპრილს, სადაც აკრედიტაციის ვიზიტისთვის ჩამოყალიბდა ძირითადი კითხვები და პირველადი მიგნებები.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2023 წლის 4 აპრილს. აკრედიტაციის პროცესი წარიმართა კონსტრუქციულ რეჟიმში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანთლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო დანარჩენი სტანდარტები - სრულ შესაბამისობაშია.

მეტწილი შესაბამისობა აქვს შემდეგ ქვესტანდარტებს: 1.3; 1.4; 1.5; 2.3; და 5.3.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების რიგით მე-6 და მე-7შედეგებში ასახული ჩანაწერი დაზუსტდეს; სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემამ, ასევე, მონიტორინგისა და შეფასების გეგმამ ასახოს, სამიზნე ნიშნულიდან გადახდის რა ხარისხი (სიდიდე) დაიშვება და ქმნის პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველს.
- რეკომენდებულია, გადამუშავდეს1.4 ქვესტანდარტის ანალიზში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ლიტერატურის კომპონენტი წინაპირობების, გამოქვეყნების წლის, აკადემიური წერის სტანდარტებით წყაროს მითითების წესების გათვალისწინებით.
- მიზანშეწონილია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება მოხდეს სისტემატიზებულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში კერძოდ, დაინერგოს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ან შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრირდეს.;
- სასწავლო კურსების შედეგების სამიზნე ნიშნულები საჭიროებს შინაარსობრივ გადამუშავებას და მკაფიო გამიჯვნას ერთმანეთისგან.
- მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტთან დაკავშირებული დებულება და დაზუსტდეს შემფასებელი კომისიის შემადგენლობა.
- გადაისინჯოს სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,კვლევის კომპიუტერული მეთოდები“, ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში“, ,,დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი“, ,,ოპერაციული მენეჯმენტი ტურიზმში“, ,,სამაგისტრო ნაშრომი“ და მოვიდეს შესაბამისობაში რეალურ სასწავლო პროცესთან.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი, განსაკუთრებით სამიზნე ნიშნულების გადამუშავების, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, აკადემიური წერის სტანდარტებზე მეტად ყურადღების გამახვილების, სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების, მემორანდუმების სათანადო პირობების დაცვით გაფორმებისა და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემაში მისი განსაზღვრის საფუძველიც აისახოს, რათა მომავალში მონიტორინგის მიზნით მიმდინარე სამიზნე ნიშნულებთან დადარდეს მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგები.
- უმჯობესი იქნება, ჩატარდეს შესაბამისი კვლევა, რამდენად შეესაბამება ცალკეული სასწავლო კურსებისათვის დათმობილი სასწავლო დრო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო დრო და სასწავლო მასალების მოცულობა სასწავლო კურსისთვის მინიჭებულ კრედიტს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- კარგი იქნება, თუ უსდ Turnitin-ის პლაგიატის პროგრამის შესაძლბელობას გამოიყენებს სრულად და მასში დაარეგისტრიროს თავად სტუდენტი, სადაც მას მთელი სემესტრის განმავლობაში ექნება მისი ნამუშევრის პლაგაიატზე შემოწმებისა და გამოსწორების საშუალება, რაც, საბოოლო ჯამში, უფრო მეტად აამაღლებს აკადემიურ კეთილსინდისიერებას.
- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას კვლევის მეთოდების გამოყენების, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის და დამუშავებული ლიტერატურის მოცულობის გაფართოების თვალსაზრისით;

- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს პრაქტიკის ხანგრძლივობა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.
- სასურველია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის დანერგვა მაგისტრატურის დონეზე. თუკი ეს ვერ მოხერხდება ერთი საგნის პრინციპით, მაშინ შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრაციით იქნება შესაძლებელი. სტუდენტთა სურვილისა და სამაგისტრო ნაშრომებში აღმოჩენილი გარკვეული აკადემიური ხარვეზების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აკადემიური წერის სწავლა ყველა მაგისტრანტისთვის სავალდებულო უნდა იყოს;
- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, განსაკუთრებით - წყაროთა დამოწმებისა და ბიბლიოგრაფიის ნაწილში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი იმ წლის მიხედვით, რომელიც უნდა შემოწმდეს ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით.
- სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისაგან.
- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ცალკე ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასების თაობაზე სპეციალური გამოკითხვა.
- სასურველია, ცალკე შემუშავდეს ანალოგ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი, რომელიც უფრო ნათლად ასახავს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასა და ანალოგ პროგრამებს შორის განსხვავებებს, პროგრამაში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების დეტალებს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მოქნილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც იძლევა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საჭიროებების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და კვლევის შედეგების გაცნობის შესაძლებლობას სწავლების საფეხურის მიხედვით, ხოლო სტუდენტებისთვის ელექტრონული მომსახურება ბიუროკრატიული მექანიზმებისგან დაცლილი და გამარტივებულია.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა თვითკრიტიკულად გადახედა დასკვნის პროექტს და მოხდა 2 რეკმენდაციის გაერთიანება. ამ ცვლილებით სტანდარტების შეფასებები არ შეცვლილა, ასევე 3.2. სტანდარტში მოცმული რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში, რადგან რეკომენდაციების შინაარსი არ ყოფილიყო გამეორებული სხვადასხვა სტანდარტში.

მისასალმებელია უნივერსიტეტის მხრიდან გამოჩენილი კონსტრუქციული მიდგომა, რომელიც აისახა უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ არგუმენტირებულ პოზიციაში, თუმცა ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის არეალი იზღუდება, აკრედიტაციამდე და აკრედიტაციის დღეს წარმოდგენილი დოკუმენტაციით, უნივერსიტეტის მიერ მოცემული დანარჩენი დეტალები კი ფაქტობრივად ახალია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ იმსჯელებს ახალ გარემოებებზე.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას „ტურიზმის მენეჯმენტი“ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები. კერძოდ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ამზადებს ისეთ პროფესიონალს, რომელიც არის ტურიზმისა და ტურიზმის მართვის სფეროში თანამედროვე, ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი მენეჯერი, ეფექტიანი ლიდერი და გუნდის წევრი, ამასთანავე, გადაჭრის რთულ მმართველობით პრობლემებს და თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს კვლევებზე, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებზე.

აქედან გამომდინარე, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს, ასევე, ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას. პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში შემდეგი ფრაზებით: „გადაჭრის რთულ მმართველობით პრობლემებს და თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს კვლევებზე, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებზე“.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

ამასთან, პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის დეტალური შესწავლით და დამსაქმებლთა ჩართულობით. შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ისე საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები.

პროგრამის მიზნის ფრაზაში „სფეროში თანამედროვე, ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი მენეჯერი, ეფექტიანი ლიდერი და გუნდის წევრი“ ირიბად ასახულია ინტერნაციონალიზაციის ძირითადი საკითები, რადგან თანამედროვე გლობალურ გარემოში, მითუმეტეს ტურიზმის სფეროში ვერ იქნება პირი ეფექტიანი მმართველი, თუ მას კარგად არ აქვს შესწავლილი როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ტენდენციები. ამდენად, სწავლის სფეროს და/ან სწავლების საფეხურის თავისებურებიდან გამომდინარე, პროგრამა ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. პროგრამა განთავსებულია ვებგვერდზე, შესაბამისად, საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერსებული პირის მიერ.

ადგილზე ვიზიტის დროს, მოხდა დაინტერსებული მხარეების და პროგრამაში ჩართული პირების გამოკითხვა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ ის გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.ge/ ;
- ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- გამოკითხვები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამას „ტურიზმის მენეჯმენტი“ აქვს 8 შედეგი, რომელიც წარმოდგენილია კრიტერიუმებით: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. შედეგების ფორმულირებისას გათვალიწინებულია 2020 წლის აკრედიტაციის პროცესში გაწეული რეკომენდაციები.

პროგრამას თან ახლავს პროგრამის მიზნებისა და შეგდების შესაბამისობის მატრიცა, რომელიც შეესაბამება ერთმანეთს. წარმოდგენილი პროგრამის შედეგები მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. ამასთანვე, პროგრამის შედეგები არის გაზომავდი, მიღწევადი და რეალისტური.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში“, წარმოდგენილი პროგრამა ეყრდნობა კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, რაც შეეხება დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამა წარმოდგენილია კოდით 1015, პროგრამა ფარავს ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ჩარჩოს და, ამასთანავე, მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს.

პროგრამის სწავლების შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, რაც ასევე დასტურდება იმითი, რომ რამდენიმე ამ პროგრამის კურსდამთავრებული წარმატებით აგრძელებს შემდეგ საფეხურზე სწავლებას.

პროგრამის შედეგებში ნათლად არის წარმოდგენილი ტურიზმის ბიზნესის სპეციფიკა, რომელიც შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის შედეგების მომზადდა დამსაქმებელთა ინტენსიური ჩართულობით, რომელიც დადასტურდა დამსაქმებლთა ინტერვიუებითაც. ამასთანავე, პროგრამას თან ახლავს შრომის ბაზრის კვლევა.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესის საფუძველზე და მასში ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). პროგრამის სწავლის შედეგები სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის თვალსაზრისით არის თანმიმდევრული, და ვითარდება შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული

პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას, პირისპირ და ონლაინ შეხვედრებით.

პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება ინდივიდუალურად, შესაბამისად, კლასტერში არ არის წარმოდგენილი სხვა პროგრამა.

წარმოდგენილი პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, დარწმუნებით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებსა და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ამასთანავე, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);
- ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- გამოკითხვები;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.ge/ ;
  - ინტერვიუს

შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების სისტემა მოიცავს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ მეთოდებს, როგორიცაა პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ისინი იძლევა სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს შეფასების რეგულარობის პრინციპს, შეფასებაში ჩართულ მხარეებს, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირებს, სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზს და სხვ. დადგენილია პროგრამის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშის მომზადების აუცილებლობა, სხვა ანგარიშების მომზადების პერიოდულობა, განხილვის და პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი, საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოს შედგენის პრინციპები. დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის შედეგების, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების სტატისტიკის ანალიზი და შეფასება, ასევე უცხოურ და ეროვნულ ანალოგიურ პროგრამებთან შედარება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 3 წელში ერთხელ. შეფასების შედეგად უნდა გამოიკვეთოს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, შემუშავდეს რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში აქტიურად მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე (დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებიდან რიგით მე-6 შედეგში არის ცვლილების შეტანის საჭიროება. ეს იმითაა ნაკარნახევი, რომ „კვლევასთან დაკავშირებული დასკვნების, არგუმენტებისა და შედეგების წარდგენა საქმიანი და აკადემიური საზოგადოებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე“ ფასდება „ინგლისური ენით“, „პრაქტიკითა“ და „სამაგისტრო ნაშრომით“. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგის ჩანაწერში „უცხო ენა“ უნდა დაზუსტდეს „ინგლისური ენით“.

ამასთან, პროგრამის სწავლის მე-7 შედეგი („ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებს“) ფასდება სასწავლო კურსებით: „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი ტურიზმში“, „ტურიზმის მდგრადი განვითარება“, „ბიზნესის ეთიკა“ და „სამაგისტრო ნაშრომი“. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აქ აუცილებელია, დაემატოს სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ტურიზმში“, ვინაიდან უშუალოდ „კვლევის მეთოდები ტურიზმში“, სილაბუსის მიხედვით, გადის სწავლის შედეგზე „აცნობიერებს აკადემიური პატიოსნების პრინციპის აუცილებლობას კვლევის პროცესში.“ ამ კონტექსტში ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ

შედეგის მიღწევაში რაიმე ფორმით უნდა მონაწილეობდეს „აკადემიური წერის“ კურსი. მოცემულ შემთხვევაში ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებიც სრულად შესრულდება (დაწვრილებით იხ. დასკვნის 1.5, 2.2 კომპონენტები).

პროგრამას აქვს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შედეგებს, რომელთა შეფასების სქემა მოიცავს სამიზნე ნიშნულებს. სწავლის შედეგების რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოიყენება (ა) გასული წლების სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს კონკრეტულ სასწავლო დისციპლინაში საბოლოო შეფასებათა პროცენტულ განაწილებას. (ბ) კურსის (ჯგუფის) სიძლიერის ან სისუსტის შესაფასებლად გამოიყენება ზევით აღნიშნული სტატისტიკის შედარება საბოლოო შეფასების განაწილების ECTS შეფასებათა სკალასთან (A-10%, B-25%, C-30%, D-25%, E-10%). სამიზნე ნიშნული შეიცავს იმ მოლოდინს, რა დონით და სტუდენტთა რა პროცენტულმა ოდენობამ უნდა მიაღწიოს სტუდენტმა ამა თუ იმ კურსით კონკრეტულ სწავლის შედეგს. ცალკეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების კომპონენტებში სტუდენტთა 20% გადის შედეგზე „ავლენს ღრმა და სისტემური მსჯელობის უნარს“, 25% შედეგზე - „მსჯელობს სიღრმისეულად და სისტემატურად, თუმცა გარკვეულწილად არათანმიმდევრულად“, 35% - „ცდილობს, საკითხს ღრმად და სისტემურად მიუდგეს, მაგრამ არაა თანმიმდევრული“, 15% - „მსჯელობს, მაგრამ სიღრმეში ვერ შედის და ვერც სისტემატურობას აღწევს მსჯელობისას“, 5% - „მსჯელობას აკლია სიღრმე და სისტემურობა“. ბოლო ოთხი სამიზნე ნიშნულის ახსნა-განმარტება იდენტური შინაარსობრივი დატვირთვისაა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სამიზნე ნიშნულების შინაარსი გადაიხედოს და ისინი ნათლად გაიმიჯნოს. თუმცა სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემაში არაა ასახული, თუ რა დონით გადახვევა და ზღვრულ ნორმებთან გადახრა დაიშვება და სამიზნე ნიშნულებიდან რა სახის ცდომილება არის ცვლილებების განხორციელების საფუძველი. ამასთან, სასურველია, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის საფუძველიც აისახოს, ეს მომავალში მონიტორინგის მიზნით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგების მიმდინარე სამიზნე ნიშნულებთან დადარებას შეუწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის N06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა ნაშრომები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- დარგობრივი მახასიათებელი;
- სამიზნე ნიშნულები;
- გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების რიგით მე-6 და მე-7 შედეგებში ასახული ჩანაწერი დაზუსტდეს; სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემამ, ასევე, მონიტორინგისა და შეფასების გეგმამ ასახოს, სამიზნე ნიშნულიდან გადახდის რა ხარისხი (სიდიდე) დაიშვება და ქმნის პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემაში მისი განსაზღვრის საფუძველიც აისახოს, რათა მომავალში მონიტორინგის მიზნით მიმდინარე სამიზნე ნიშნულებთან დადარდეს მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესის გამოყენებით (სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკ. საბჭოს დადგენილება N 06-01/54; 14.07.2022), რომელიც განსაზღვრავს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიას, ასევე, პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. აღნიშნული მექანიზმით პროგრამის რეაკრედიტაციისთვის განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული ჩართული პირების წარმომადგენლებით კომპლექტდება. ამ

წესის მიხედვით, შეიქმნა რეაკრედიტაციისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის განვითარების ჯგუფი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. იგი 120 ECTS კრედიტს მოიცავს, პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად.

პროგრამის კრედიტები გადანაწილებულია შემდეგი სახით: ტურიზმის მენეჯმენტი - 35, ტურიზმის მდგრადობა - 5, კვლევითი უნარები - 10, ინგლისური ენა - 15, არჩევით დისციპლინები - 15, პრაქტიკა - 10, სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი. პროგრამის შინაარსი, წარმოდგენილი სტრუქტურა და რესურსები მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებს მიღწევას.

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი/საგანი) არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. შემდგომ კოპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაფასებლად წარმოდგენილ მასალებს, თუმცა ინფორმაციის თანხვედრაში არის ხარვეზი: კერძოდ, სასწავლო პროგრამის კურიკულუმში არ არის მოცემული კომპონენტების სტატუსი და წინაპირობები, სილაბუსებში კი დეტალური ინფორმაციაა აღნიშულ კომპონენტებზე. მიზანშეწონილია, პროგრამის კურიკულუმში სრულად აისახოს ინფორმაცია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სტატუსის და წინაპირობების შესახებ.

პროგრამა მეტწილად ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის განვითარების ჯგუფის წევრებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა. თუმცა რიგ სასწავლო კურსებში (ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ეკოტურიზმის მენეჯმენტი, ღონისძიების მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმის მენეჯმენტი, კურორტის მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი ტურიზმში, სამედიცინო ტურიზმი, სოფლად ტურიზმის მენეჯმენტი, ტურ-ოპერატორის მენეჯმენტი და ა.შ) არ არის მითითებული განახლებული გამოცემები. რიგ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა: დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი, ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვა, გასტრონომიული ტურიზმის მენეჯმენტი, კვლევის კომპიუტერული მეთოდები, რისკების მენეჯმენტი ტურიზმში, ტურიზმის მდგრადი განვითარება და სხვა - დარღვეულია აკადემიური წერის სტანდარტებით წყაროს მითითების ჩანაწერი და გამოცემის წელი ვერ დგინდება. ასევე, არ არის მითითებული პედაგოგების მიერ შემუშავებულ სალექციო კურსებთან და რიდერებთან ავტორი, წელი, მოცულობა, გვერდები და ა.შ.

სასწავლო კურსში - მოლაპარაკებები - ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში, სალექციო კურსთან ერთად, მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა და არ პასუხობს სასწავლო კურსის

შესწავლის წინაპირობებს. აღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა საჭიროებს დაზუსტებას და რიგ შემთხვევაში განახლებას.

პროგრამის შინაარსი პროგრამის სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, რაც გამოიხატება პროგრამაში ინგლისურთან ერთად რუსული, გერმანული და თურქული ენების შეთავაზებით. ასევე, უცხოენოვანი ლიტერატურის ჩართვით სასწავლო პროცესში, სტუდენტთა და ლექტორთა ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობით, რაც არაერთხელ დადასტურდა მათთან ინტერვიუს პროცესშიც.

თვითშეფასების ანგარიშიდან და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავება და განვითარება თანამშრომლობთი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი).

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებგვერდის, ღია კარის დღეების ორგანიზების, გამოფენებში მონაწილეობის, ანალოგ პროგრამებთან დადარების და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი (სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკ. საბჭოს დადგენილება N 06-01/54; 14.07.2022);
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტი ვებგვერდი: https://www.bsu.edu.ge/;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები წარმოდგენილი ოქმების სახით;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადამუშავდეს 1.4 ქვესტანდარტის ანალიზში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ლიტერატურის კომპონენტი წინაპირობების, გამოქვეყნების წლის, აკადემიური წერის სტანდარტებით წყაროს მითითების წესების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილია შესაბამისობის რუკაც.

პროგრამის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

<u>ცოდნა და გაცნობიერება:</u>

- მსჯელობს კრიტიკულად, სიღრმისეულად და სისტემატიზებულად ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის კონცეფციების შესახებ;
- განხილვას ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის თანამედროვე ტენდენციებს, წარმატებულ და წარუმატებელ შემთხვევებს, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების უახლეს მიღწევებს.

<u>უნარები:</u>

- გადაჭრის ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას ორიგინალური, ინოვაციური, თანამედროვე, სტრატეგიული, კომპლექსური, კვლევაზე დაფუძნებული გზით;
- იკვლევს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებს;
- წარუდგენს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრასთან ან კვლევასთან დაკავშირებულ დასკვნებს, არგუმენტებს და შედეგებს საქმიან და აკადემიურ საზოგადოებას ქართულ და უცხოურ ენებზე.

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</u>

- მართავს დამოუკიდებლად ან გუნდურად, ეფექტიანი გუნდის მეშვეობით, ტურიზმის დარგში მოქმედ ორგანიზაციას ან მის ქვედანაყოფს პასუხისმგებლობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- წარმართავს საკუთარი და გუნდის წევრების სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შედეგი - ,,ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებს“ უნდა ითვალისწინებდეს აკადემიური წერის სტანდარტების სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებულია მხოლოდ აკადემიური წერის სახელმძღვანელოები და ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აკადემიური წერის სტანდარტების დაცვას, მიზანშეწონილია, აღნიშნული ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება მოხდეს სისტემატიზებულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში. სამაგისტრო საფეხური სამეცნიერო პროდუქტის შექმნაზეა ორიენტირებული, ამიტომ პროდუქტის შექმნის პროცესში პარალელურად აკადემიური წერის სტანდარტების სწავლება გაუმართლებელია.

სასწავლო კურსების თემატური შინაარსის შესწავლით დასტურდება, რომ თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კომპონენტებისთვის - თითოეული სასწავლო კურსისთვის/საგნისთვის გამოყოფილია 5 ECTS კრედიტი. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ეს განპირობებულია პედაგოგების მიერ სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვების განხორციელებით და პროგრამის ადმინისტრირების საჭიროებით. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით სტუდენტებთან პრობლემა არ გამოკვეთილა, ანალოგიური მიდგომა დაფიქსირდა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის შესაბამისობასთან დაკავშირებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესი იქნება, ჩატარდეს შესაბამისი კვლევა, რამდენად შეესაბამება ცალკეული სასწავლო კურსებისათვის დათმობილი სასწავლო დრო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო დრო და სასწავლო მასალების მოცულობა სასწავლო კურსისთვის მინიჭებულ კრედიტს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო კურის /საგნის თითოეული სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში. თითოეულ საგანთან მიმართებაში განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმები. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სასწავლო კურსების სამიზნე ნიშნულები და მიაჩნია, რომ მათი გარკვეული ნაწილი საჭიროებს გადამუშავებას. მაგალითად, ,,მსჯელობს კრიტიკულად, სიღრმისეულად და სისტემატიზებულად ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის კონცეფციების შესახებ“ შედეგისთვის - განსაზღვრული სამიზნე ნიშნეულებია - „მსჯელობს, მაგრამ სიღრმეში ვერ შედის და ვერც სისტემურობას აღწევს მსჯელობისას“ (25%) და „მსჯელობას აკლია სიღრმე და სისტემურობა“

(5%) - შინაარსობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და საჭიროებს გადამუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამიზნე ნიშნულები საჭიროებს შინაარსობრივ გადამუშავებას და მკაფიო გამიჯვნას ერთმანეთისგან.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების (30%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 70%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტს ევალება, გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი განმეორებით ატვირთოს არაუგვიანეს მე-14 კვირისა, პირველადი წარდგენისას ნაშრომში 70%-ზე მეტი მსგავსების ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 30%-ზე მეტი მსგავსების აღმოჩენის დროს ნაშრომი ფასდება (F) „ჩაიჭრა“ შეფასებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამაგისტრო ნაშრომისთვის 70%-იანი მსგავსების კოეფიციენტის დადგენა გაუმართლებელია, რადგან ეს იმდენად მაღალი მსგავსების მაჩვენებელია, რომ აპრიორი მოიაზრებს მისი კვლევითი ღირებულების ნიველირებას. ამასთან, ფაქტობრივად 70%-მდე მსგავსების არსებობა გულისხმობს იმას, რომ სამაგისტრო ნაშრომი მთლიანად გადასამუშავებელია, რაც 1 კვირაში ფიზიკურად მიუღწეველია. როცა სამაგისტრო ნაშრომში 30%-ზე მეტი მსგავსებაა აღმოჩენილი (მაგალითად, 34%), მაგრამ პლაგიატის ნიშნებს არ შეიცავს სამაგისტრო ნაშრომი, გაუმართლებელია მისი ჩაჭრილად მიჩნევა. გასათვალისწინებელია, რომ სამაგისტრო ნაშრომში 30%-ზე ნაკლები მსგავსების კოეფიციენტის დადგენა ავტომატურად არ ნიშნავს პლაგიატის ნიშნების არარსებობას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეიძლება აისახოს დებულება იმის შესახებ, რომ თუ გადამუშავების შემდეგ 30%-ზე მეტი მსგავსების კოეფიციენტი აღმოჩნდა, მაგისტრანტს მიეცეს შესაძლებლობა, მომდევნო სემესტრში წარადგინოს გადამუშავებული კვლევითი ნაშრომი. ასეთი ჩანაწერი, უარყოფითი შეფასების ნაცვლად, პოზიტიური შეფასების მიღების შესაძლებლობას იძლევა და უფრო მეტად ითვალისწინებს სტუდენტის საჭიროებას.

ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ პლაგიატის დადგენისთვის იყენებს Turnitin-ის პროგრამას, რომელიც ინტეგრირებულია მუდლის სიტემაში, სტუდენტი იქედან ტვირთავს ნაშრომს და ამის უფლება მხოლოდ სემესტრის მანძილზე 2-ჯერ აქვს. კარგი იქნება თუ უსდ Turnitin-ის პლაგიატის პროგრამის შესაძლებლობას გამოიყენებს სრულად და მასში დაარეგისტრიროს თავად სტუდენტი, სადაც მას მთელი სემესტრის განმავლობაში ექნება მისი ნამუშევარის პლაგაიატზე შემოწმებისა და გამოსწორების საშუალება, რაც საბოოლო ჯამში უფრო მეტად აამაღლებს აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

ასევე, დაზუსტებას მოითხოვს სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელი კომისიის შემადგენლობა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულია, რომ კომისიაში შედიან შესაბამის დარგში აკადემიური ხარისხისა და სამეცნიერო გამოცდილების მქონე არანაკლებ სამი წევრისაგან, რაც ინტერვიუზეც ითქვა. თუმცა კონკრეტულად ვინ შეიძლება იყოს შემფასებელი კომისიის წევრები, არც ამ წესიდან ჩანს და ვერც ინტერვიუზე აღინიშნა. სახელდობრ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი უნდა შეიცავდეს

მონაცემებს, ნაშრომის შემფასებელი კომისიის წევრი შეიძლება იყოს თუ არა რეცენზენტი, ასევე, მოწვეული ლექტორი და სხვა უნივერსიტეტის ლექტორი. ასეთი ჩანაწერის არარსებობის გათვალისწინებით, ინტერვიუზე ითქვა, რომ კომისიაში შეიძლება რეცენზენტიც და ხელმძღვანელიც იყოს ჩართული, თუმცა ამ შემთხვევაში გამოდის, რომ, გარდა რეცენზენტის 40 ქულისა, დარჩენილი 60 ქულის შეფასებაშიც მონაწილეობს რეცენზენტი, რაც სამაგისტრო ნაშრომის საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებაზეც პირდაპირპროპორციულად აისახება. მსგავს პირობებში რეცენზენტი ორჯერ აფასებს (ერთხელ დამოუკიდებლად მაქსიმუმ 40 ქულით, მეორედ კი - შემფასებელი კომისიის წევრის სტატუსით), რაც, ექსპერტთა აზრით, გაუმართლებელია. ამდენად, ჩანს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში სამაგისტრო ნაშრომში მსგავსებას კოეფიციენტთან დაკავშირებული დებულებისა და შემფასებელი კომიისის შემადგენლობის დაზუსტების საჭიროება. ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის მიზანშეწონილია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება მოხდეს სისტემატიზებულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში, კერძოდ, დაინერგოს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ან შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრირდეს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით (დეტალურად იხილეთ ქვესტანდარტი 1.4).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის შედეგები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება მოხდეს სისტემატიზებულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში კერძოდ, დაინერგოს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ან შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრირდეს.;
- სასწავლო კურსების შედეგების სამიზნე ნიშნულები საჭიროებს შინაარსობრივ გადამუშავებას და მკაფიო გამიჯვნას ერთმანეთისგან.

- მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტთან დაკავშირებული დებულება და დაზუსტდეს შემფასებელი კომისიის შემადგენლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესი იქნება, ჩატარდეს შესაბამისი კვლევა, რამდენად შეესაბამება ცალკეული სასწავლო კურსებისათვის დათმობილი სასწავლო დრო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო დრო და სასწავლო მასალების მოცულობა სასწავლო კურსისთვის მინიჭებულ კრედიტს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- კარგი იქნება, თუ უსდ Turnitin-ის პლაგიატის პროგრამის შესაძლბელობას გამოიყენებს სრულად და მასში დაარეგისტრიროს თავად სტუდენტი, სადაც მას მთელი სემესტრის განმავლობაში ექნება მისი ნამუშევარის პლაგაიატზე შემოწმებისა და გამოსწორების საშუალება, რაც საბოოლო ჯამში უფრო მეტად აამაღლებს აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, მოითხოვება საერთო სამაგისტრო გამოცდა, ბსუ-ს გამოცდა სპეციალობაში და ბსუ-ს გამოცდა B2 დონის ინგლისურ ენაში, რომელიც შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N111 08.10.2015 დამტკიცებულია „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ წესის მუხლი 5 პუნქტი 5.1. განსაზღვრავს, რომ სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების და სხვა მარეგულირებელი აქტების (მ.შ. ამ წესის) საფუძველზე. ხოლო პუნქტი 5.2. ადგენს, რომ სამაგისტრო გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: (1) საერთო სამაგისტრო გამოცდა; (2) ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები (სპეციალობაში და უცხო ენაში).

ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N59; 07.07.2017), რომლითაც განისაზღვრება სამაგისტრო გამოცდების სამართლიანად და გამჭირვალედ ადმინისტრირების მექანიზმები.

ბსუ-ს გამოცდა სპეციალობაში მოიცავს 10 დისციპლინას: (1) ტურიზმის და მასპინძლობის საფუძვლები; (2) მენეჯმენტის საფუძვლები; (3) მარკეტინგის საფუძვლები; (4) სტატისტიკა ტურიზმში; (5) ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საფუძვლები; (6) ფინანსური აღრიცხვა და ანგრიშგება ტურიზმში; (7) პროექტების მართვა ტურიზმში; (8) სასტუმროს მენეჯმენტი; (9) ტურ-ოპერირება; (10) ტრანსპორტი ტურიზმში - რაც გვიჩვენებს, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ცოდნა და გამომუშავებული უნარები ტურიზმის მენეჯმენტის საფუძვლებში, რაც სამაგისტრო პროგრამის ათვისებასთან შესაბამისობაში იქნება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სპეციალობის საგამოცდო ბილეთის ნიმუში. ამასთან, სპეციალობაში გამოცდის წინ ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდება საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ მსგავს ბილეთს და ივარჯიშონ გამოცდისთვის დროის მენეჯმენტთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ბსუ-ს გამოცდა B2 დონის ინგლისურ ენაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 5.5. მუხლის მიხედვით ,,ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ

გამოცდას/გამოცდებს ენიჭება კოეფიციენტები. ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თანახმად დაშვების წინაპირობად სტუდენტებისათვის განსაზღვრულია უცხო ენის დონე - B2“.

ასევე, ბსუ-ს საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის ნ.გ) მუხლის მიხედვით, ბსუ-ში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი (სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკ. საბჭოს დადგენილება N 06-01/54; 14.07.2022);
- „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკ. საბჭოს დადგენილება N111 08.10.2015);
- ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N59; 07.07.2017);
- საგანანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- უნივერსიტეტი ვებგვერდი: https://www.bsu.edu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და /სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. აღსანიშნავია, რომ კვლევითი და პრაქტიკული უნარების გასავითარებლად სწავლა - სწავლების მეთოდებში გამოიყენება როლური თამაშები, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები და სხვა; მასთან, პროგრამაში კვლევით უნარებს ეთმობა 10 ECTS კრედიტი, საიდანაც 5 ECTS კრედიტი არის კვლევის მეთოდები ტურიზმში და 5 ECTS კრედიტი კვლევის კომპიუტერული მეთოდები. ასევე, 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტით (ბსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N 06-01/90; 14.08.2019) განსაზღვრულია ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის. კვლევის ხარისხის ამაღლების, კვლევებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობის, სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების, კვლევის ეთიკის და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კვლევის წახალისების მექანიზმები, სტუდენტთა კონფერენციის ჩატარების წესი. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის წარდგენამდე მაგისტრანტს მოეთხოვება სავალდებულო სახით სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, ან სტატიის გამოქვეყნება. საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების მოთხოვნებით, კვლევაში ჩართულნი უნდა იყვნენ სტუდენტები (არაუმეტეს 2 მაგისტრანტი).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა სამი სხვადასხვა შეფასების სამაგისტრო ნაშრომი. აღსანიშნავია, რომ დაბალი შეფასების სამაგისტრო ნაშრომები პრობლემატურია კვლევის მეთოდების გამოყენების, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის და დამუშავებული ლიტერატურის მოცულობის თვალსაზრისით.

პრაქტიკის 10 ECTS კრედიტიც პროგრამის სავალდებულო კომპონენტია. იგი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პრაქტიკის მიზანია მაგისტრატურის პირველ და მეორე სემესტრებში მიღებული ცოდნის, გაცნობიერების და უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ტესტირება რეალურ საწარმოო პირობებში, მ.შ. სტუდენტის თვითშეფასების უნარის გამომუშავება. პრაქტიკის გავლის პერიოდში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პრაქტიკას ხელმძღვანელობს ბსუ-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე. პრაქტიკის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, აკონტროლებს პრაქტიკის ჩატარების პროცესს. პრაქტიკის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს მენტორს, რომელიც განახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა უშუალო ზედამხედველობას.

თვითშეფასების ანგარიშს ახლავს გაფორმებული მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან, რომლებშიც გათვალისწინებულია, პრაქტიკის მიზანი, აქტივობები, შედეგი, თუმცა არ არის გათვალისწინებული პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და ხანგრძლივობა, რაც მიზანშეწონილია, რომ დაზუსტდეს. პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტთა პრაქტიკის და დასაქმების პროცესში. ისინი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ კანდიდატთა რეგიონისადმი მიკუთვნებადობას შეჩევის პროცესში. აღინიშნა, რომ მათ კომპანიებში ბსუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების მრავალი მაგალითია, რადგან სტუდენტები ახდენენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დემონსტრირებას, მოქნილნი არიან შრომის ბაზრის ახალი გამოწვევებისადმი და გამოირჩევიან კონკურენტული უპირატესობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- უნივერსიტეტი ვებგვერდი: https://www.bsu.edu.ge/;
- საკონფერენციო მასალები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- პრაქტიკის დღიურები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტი (ბსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N 06-01/90; 14.08.2019);
- სტუდენტთა კონფერენციის ჩატარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას კვლევის მეთოდების გამოყენების, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის და დამუშავებული ლიტერატურის მოცულობის გაფართოების თვალსაზრისით;
- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს პრაქტიკის ხანგრძლივობა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამით განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. მათ შორის: ახსნა-განმარტების, შემთხვევის ანალიზის, დისკუსიის, სემინარული მუშობის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, წერითი მუშაობის და პრეზენტაციის, პროგრამული ამოცანის, პრაქტიკული, როლური თამაშების მეთოდებს. თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები განსაზღვრულია სწავლების საფეხურის, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კიდევ ერთხელ მოითხოვს გადასინჯვას გარკვეულ სილაბუსებში მითითებული სწავლა-სწავლების მეთოდები. მათ შორის, სასწავლო კურსებში ,,კვლევის კომპიუტერული მეთოდები“, ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში“, ,,დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი“, ,,ოპერაციული მენეჯმენტი ტურიზმში“, ,,სამაგისტრო ნაშრომი“.

სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას; პერსონალისა და სტუდენტებს, ასევე სტუდენტებს შორის ინტერაქციას ითვალისწინებს, სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე;

საჭიროების შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას პროგრამის სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით, რომლებიც არ იწვევს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილებას. აღიშნული დადასტურდა კოვიდ-პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტს გააჩნია მოქნილი ელექტრონული ბაზა სასწავლო პროცესის მართვისათვის, რაც მორგებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლომ პროცესის მარეგულირებელი ელექტრონული პორტალი.

რეკომენდაციები:

- გადაისინჯოს სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,კვლევის კომპიუტერული მეთოდები", ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში", ,,დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი", ,,ოპერაციული მენეჯმენტი ტურიზმში", ,,სამაგისტრო ნაშრომი" და მოვიდეს შესაბამისობაში რეალურ სასწავლო პროცესთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების რამდენიმე კომპონენტი არსებობს, რომლებიც უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითაა განსაზღვრული.

სასწავლო კურსებში გამოყენებულია შეფასების შემდეგი ელემენტები: ჯგუფში მუშაობის შეფასება, რომელშიც შედის: დისკუსია, წერითი დავალებები, კვლევითი აქტივობა, როლური თამაშები. დისკუსიისას ფასდება სტუდენტის პოზიციის დაცვის უნარი, რა დროსაც მოწმდება მისი თეორიული ცოდნა და პრეზენტაციის უნარები. წერითი სამუშაოების შესრულებისას მოწმდება და ფასდება სტუდენტის თეორიული ცოდნა, პრობლემის გადაჭრისა და შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარები. კვლევითი აქტივობის პროცესში ფასდება ჰიპოთეზის ჩამოყალიბების, კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის, კვლევის მეთოდის შერჩევის და გამოყენების, ორიგინალური მიდგომის, დასკვნებს გაკეთების, საველე მუშაობის, გუნდის მართვის, პრეზენტაციის, პოზიციის დაცვის უნარები. რაც შეეხება როლურ თამაშებს, აქ ფასდება სტუდენტის მიერ კომუნიკაციის პროცესის დაგეგმვის, სწორი სტრატეგიების შემუშავების და დასმული პრობლემის გადაჭრის უნარები.

გარდა ჯგუფში მუშაობის შეფასებისა, ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე შეფასების შემდეგი ელემენტები იკვეთება: სემინარული მეცადინეობის შეფასება; ლაბორატორიული სამუშაოს შეფასება; პრაქტიკული სამუშაოს შეფასება; პროექტის შეფასება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასება; სამაგისტრო ნაშრომის შეფასება.

პრაქტიკული სამუშაოს ფარგლებში, სტუდენტი წარმოადგენს პრაქტიკის ანგარიშს. საამისოდ, ის პრაქტიკულ დავალებებს შესაბამის ორგანიზაციაში ასრულებს, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს, ძალები სხვადასხვა პოზიციაზე მოსინჯოს. პროექტის ფარგლებში კი, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარადგინონ საპროექტო წინადადება, რომელშიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების უნარები ფასდება.

რაც შეეხება შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებას, ისინი, უმეტესად, წერითი ფორმით ტარდება ისევე, როგორც დავალებების უმრავლესობა. როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასებები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელშიც ჩაშლილია სტუდენტის მიერ სხვადასხვა აქტივობაში მიღებული შეფასება.

სანდოობის მისაღწევად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე წარმატებით იყენებენ ანტიპლაგიატის მექანიზმს, უმეტესად, სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური კეთილსინდისიერების შესამოწმებლად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს გასაჩივრების მექანიზმი, რომლის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია, გაასაჩივროს მიღებული შეფასება. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტები ზემოხსენებული მექანიზმების შესახებ ინფორმირებული არიან.

ასევე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური მუდმივად ცდილობს, კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმების გადახედვასა და მათი ადეკვატურობის დონის დადგენას.

შეფასების კომპონენტები გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის. ამასთან, სტუდენტი ინფორმირებულია კონკრეტული შეფასების ადეკვატურობის შესახებ. როგორც აღინიშნა, ლექტორები კომენტარის სახით უწერენ სტუდენტებს, თუ რატომ მიიღეს ეს შეფასება.

ამრიგად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა/პორტალი;
- სადოქტორო/სამაგისტრო /კვლევითი ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი;
- სადისერტაციო კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი, კომისიის შემადგენლობა;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები;
- ნაშრომის აკადემიური სტილის დაცვით შესრულების წესი/მეთოდური სახელმძღვანელო;
- პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი არაერთი სერვისი მოქმედებს. აღსანიშნავია ამ მიმართულებით უნივერსიტეტში შექმნილი მრავალფეროვანი გარემო.

ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა წარმატებით ხორციელდება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ რამდენიმე მათგანს გაცვლით პროგრამაში მიუღია მონაწილეობა, მეტწილად - გერმანიაში. გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტები სრული დაფინანსებით სარგებლობდნენ. პროცესში ჩასართავად სტუდენტები ღია კონკურსში იღებენ მონაწილეობას. ინტერვიუს დროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან პროგრამის განსაკუთრებულ ძლიერ მხარედ სწორედ საერთაშორისო მობილობა დასახელდა.

მეცნიერების ხელშეწყობისა და სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის, უნივერსიტეტი მათ სთავაზობს შემდეგ პროექტებს: სამეცნიერო გრანტები სტუდენტებისთვის; სტუდენტ-ინიციატივების დაფინანსება; სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად მართავს საერთაშორისო სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციას, რომელშიც არა მარტო ბსუ-ს სტუდენტები, არამედ სხვა უსდ-ს სტუდენტებიც ერთვებიან. წახალისების მიზნით, ბსუ-ს სტუდენტურ კონფერენციას სამი საპრიზო ადგილი აქვს, რომლებზეც ფულადი ჯილდოები გაიცემა. ამასთან, კონფერენციის საუკეთესო სამეულის მოხსენებები სრულად იბეჭდება კრებულში. კონფერენციაში მონაწილეობა ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის სავალდებულოა. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მინიმალური სტანდარტის ფარგლებში, მაგისტრანტმა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე, მინიმუმ, ერთ სტუდენტურ კონფერენციაში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის მიზანია: სტუდენტებში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ორგანიზება, შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების, სეზონური სკოლების მოწყობა, რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სასტიპენდიო კონკურსებში და კვლევით საგრანტო პროექტებში სტუდენტთა ინფორმირებულობის და ჩართულობის ამაღლება, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში მონაწილეობა და სხვ.

რაც შეეხება სტუდენტთა ინფორმირებას, აქ რამდენიმე მექანიზმია ჩართული, კერძოდ, ინფორმაცია ქვეყნდება შემდეგ პლატფორმებზე: უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; სტუდენტური პორტალი; განცხადებების დაფა. ფაქტობრივად, სტუდენტების საინფორმაციო უზრუნველყოფა წესრიგშია. გარდა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა, უნივერსიტეტს მჭიდრო უკუკავშირი აქვს კურსდამთავრებულებთანაც. მათ სხვადასხვა სასარგებლო პროექტზე, ღონისძიებებსა თუ დასაქმების შესაძლებლობებზე ინფორმაცია აქტიურ რეჟიმში მიეწოდებათ.

მნიშვნელოვანი საკითხია, აგრეთვე, სტუდენტთა გამოკითხვები, რომლებიც, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სემესტრში რამდენჯერმე ხორციელდება. გამოკითხვები სტუდენტთა სხვადასხვა საჭიროებას ეხება, მათ შორის, ფუნდამენტურია სასწავლო კურსითა და ლექტორით კმაყოფილების შესახებ გამოკითხვა, ასევე, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული და სხვ. გამოკითხვები ანონიმურია და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

მრავალფეროვანია სტუდენტური ცხოვრება. უნივერსიტეტში მოქმედებს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელიც სტუდენტებს სხვადასხვა სასარგებლო პროექტში ჩართვას სთავაზობს. უნივერსიტეტში მოქმედებს: სტუდენტური თეატრი; ქორეოგრაფიული ანსამბლი; ფოლკლორული ანსამბლი; მუსიკალური ჯგუფი; მკლავჭიდის სექცია; სტუდენტური რაგბის გუნდი; ჭადრაკის მოყვარულთა კლუბი; მაგიდის ჩოგბურთს კლუბი; სტუდენტური ფუტსალის გუნდი;

საბრძოლო ხელოვნების წრე; გოგონათა და ვაჟთა სტუდენტური ფრენბურთის გუნდი; ფარიკაობის სექცია; სტუდენტური კალათბურთის გუნდი და სხვ.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის მიზანია: სტუდენტთა ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა; სტუდენტთა ადმინისტრაციული და სასწავლო პრობლემების მოგვარება; სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება; სპორტული წრეების ხელშეწყობა; გამოფენების, ლიტერატურული ღონისძიებებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება და სხვ.

სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის ასამაღლებლად, უნივერსიტეტში სამი სახის სტიპენდია გაიცემა: პირველსემესტრელის სტიპენდია; საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია; საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია.

შეჯამებისთვის, - სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი, ტუტორი ან სხვა) პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა და დაცვის პროცესი განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა 30 კრედიტი და ის წარმოადგენს მაგისტრანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურის შესწავლას, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ექსპერიმენტის ჩატარებას/კვლევის წარმოებას, დასკვნების გაკეთებას და შედეგების წარმოდგენას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უზრუნველსაყოფად სტუდენტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის და სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილების და დოქტორის ხარისხის მქონე ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი/მოწვეული პირი. თუკი სამაგისტრო თემა მოიცავს ორ ან რამდენიმე დარგს/ქვედარგს, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს სამეცნიერო თანახელმძღვანელი.

სამაგისტრო ნაშრომის თემა სტუდენტის მოსაზრებების, ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით შეირჩევა. სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას და ხელმძღვანელს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე აღნიშნული პროცედურა სწავლების მესამე სემესტრში ანუ დაცვამდე ერთი სემესტრით ადრე დგინდება სამაგისტრო ნაშრომის თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტთა მხრიდან ინტერვიუს მსვლელობის პროცესში უკმაყოფილება არ გამოთქმულა, ვინაიდან მაგისტრანტს თემის სათაურის მოდიფიცირება, შესაბამისი პროცედურების გავლის შედეგად, დამტკიცების შემდეგაც შეუძლია.

უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და კომისიაზე დაცვის წესი, რომელშიც, ტექნიკურ ნიუანსებთან ერთად, გაწერილია ნაშრომის სხვადასხვა კომპონენტის შესაბამისი მაქსიმალური ქულა და მოთხოვნები, რომლებიც მაგისტრანტებისათვის წინასწარაა ცნობილი.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ნაწილს, მას რეცენზენტი და კომისია აფასებს. რეცენზენტისთვის განკუთვნილია, მაქსიმუმ, 40 ქულა, ხოლო კომისია, მაქსიმუმ, 60 ქულით აფასებს მაგისტრანტს. ჯამური ქულა კი - 100-ია. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წერილობითი დასკვნით შემოიფარგლება, რომელიც კომისიას მიეწოდება. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კომისიის წევრები, უმეტესად, ბსუ-ს აკადემიური პერსონალითა არის დაკომპლექტებული, თუმცა აღინიშნა ისიც, რომ კომისიაში ერთი მაინც არის გარე შემფასებელი, სხვა უსდ-დან. აღნიშნული ტრადიციის შენარჩუნებას უნივერსიტეტი ყოველი დაცვისთვის ცდილობს.

მნიშვნელოვანი ასპექტია კონსულტირების ნაწილი, - აქ სტუდენტთა და სამეცნიერო ხელმძღვანელთა მხრიდან ჯანსაღი, საქმიანი და მიზანზე ორიენტირებული კოლაბორაციის სურათი დაიხატა ინტერვიუირების დროს. ჯამში, დოკუმენტურად, კონსულტირებისთვის 15 შეხვედრაა გაწერილი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ჰიპოთეზის ჩამოყალიბება; კვლევის მიზანი და ამოცანები; მეთოდოლოგია; ლიტერატურის მიმოხილვა და აკადემიური პატიოსნება; საკითხის თეორიული გააზრება; თვისებრივი ანალიზის განხორციელება; რაოდენობრივი ანალიზის განხორციელება; პრობლემების გადაჭრა; თვისებრივი კვლევის შედეგების სანდოობის შემოწმება; რაოდენობრივი კვლევის შედეგების სანდოობის შემოწმება; დასკვნის საბოლოო ტექსტის ფორმირება; MOODLE პროგრამაში მიცემული მითითებების გამოსწორება; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება; პრეზენტაციისა და მოხსენების ტექსტის მომზადება.

ბსუ-ს აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელზეც სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება და აკადემიური კეთილსინდისიერების დადგენა წარმატებით ხორციელდება.

ბსუ-ს ტურიზმის სამაგისტრო პროგრამაზე, როგორც აღმოჩნდა, არ ისწავლება აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის, რაც შეიძლება სტუდენტს ნაშრომის შესრულების პროცესში მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად მოევლინოს. ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომში დიდი ყურადღება სწორედ აკადემიური წერის უნარებს ეთმობა, საფიქრალია, რამდენად შეძლებს მაგისტრანტი აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის გარეშე, მხოლოდ ბაკალავრზე მიღებული ცოდნით გარკვეული კომპეტენციების დაძლევას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის უნდა ჩაშენდეს შინაარსობრივად ახლომდებარე სასწავლო მოდულში. ჩვენს ეჭვს ამყარებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებიც, სადაც ისინი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ სასურველი იქნებოდა, მათ აკადემიური წერის სასწავლო კურსიც გაევლოთ. (იხ. დასკვნის 1.5 ქვესტანდარტი).

რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის სრულად გაცნობის შემდეგ, გამოიკვეთა გარკვეული სარეკომენდაციო ასპექტები, რომლებიც, ძირითადად, წყაროს დამოწმების სტილებსა და

ბიბლიოგრაფიას ეხება. ნაშრომების უმეტეს ნაწილში ტექსტის შიგნით წყაროს დამოწმებები მცირე დოზით ან საერთოდ არ გვხვდება. ამასთან, წარმოდგენილი ნაშრომების დიდ ნაწილში ბიბლიოგრაფია წყაროთა მნიშვნელოვან დეფიციტს განიცდის, რაც სამაგისტრო დონის ნაშრომისთვის, ერთმნიშვნელოვნად, არასაკმარისია.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	8
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	20
თანაფარდობა	2.5

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის და უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- ჩატარებული კონსულტაციები;
- სამაგისტრო/ სადოქტორო პროგრამაზე ხელმძღვანელისა მაგისტრანტის/დოქტორანტის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ხელმძღვანელებისა და აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა;
- ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და შეფასების შედეგები;
- საჯარო ინფორმაცია ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის დანერგვა მაგისტრატურის დონეზე. თუკი ეს ვერ მოხერხდება ერთი საგნის პრინციპით, მაშინ შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრაციით იქნება შესაძლებელი. სტუდენტთა სურვილისა და სამაგისტრო ნაშრომებში აღმოჩენილი გარკვეული აკადემიური ხარვეზების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აკადემიური წერის სწავლა ყველა მაგისტრანტისთვის სავალდებულო უნდა იყოს;
- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, განსაკუთრებით - წყაროთა დამოწმებისა და ბიბლიოგრაფიის ნაწილში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	6	5	5	6
- ასისტენტ-პროფესორი	12	2	2	10
- ასისტენტი	1	2		
მოწვეული პერსონალი	12	4	3	_
სამეცნიერო პერსონალი				_

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 ძირითადი პერსონალი და 20 ადმინისტარციული პერსონალი. პროგრამის განმახორცილებელი პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია პროგრამის მოთხოვნებთან, ამასთანავე, მათ აქვთ აუცილებელი კომპეტენცია სწავლების შედეგების მისაღწევად.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა, რეგულირდება სხვადასხვა საუნივერსიტეტო დოკუმენტების საფუძველზე მათ შორისაა, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციური კადრის სამუშაოზე აყვანას. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით N03 29.06.2017, რომელიც ადგენს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და ისეთ პრინციპებს, როგორიცაა უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სახელფასო სარგო, საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საათების რაოდენობის %, სტუდენტთა რაოდენობა, დეპარტამენტების მიერ შესრულებული საათების რაოდენობას ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N 03 გადაწყვეტილებით, ის განსაზღვრავს სავალდებულო დატვირთვას, მის შინაარსს.

ასევე უსდ-ში შემუშავებულია დამხმარე პერსონალის სამსახურში აყვანის წესი, ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/58 24.12.2021 და ასევე უსდ-ში შემუშავებულია დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი.

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

არჩევით თანამდებობებზე პირების მიღების ნორმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით N01-08/25 „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულება“. უსდ-ში შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი.

უსდ-ს შიდა ნორმატიული მარეგულირებელი დოკუმენტები ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს პროგრამის განხორცილებისთვის. თავად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, კვალიფიციურია და შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, რაც დასტურდება მათი ბიოგრაფიული მონაცემებით და მყარდება ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული მტკიცებულებით. ადამიანური რესურსი ეფექტიანად ახორცილებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის საშუალო მისაღები რაოდენობა არის 20 სტუდენტი, ამჟამად პროგრამის განხორცილებაში უშუალოდ ჩართულია 16 დარგობრივი აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალი, 2 ნაკადზე გადაანგარიშებით ეს მაჩვნებელი 1 სტუდენტთან მიმართებაში არის 40/16=2,5 რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიანად განხორცილება და მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები არიან დარგში გამორჩეული მოწინავე მეცნიერები, მათ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და ისინი უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება შესაბამისი ბიოგრაფიული რეზიუმეებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მყარდება ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები ჩართულებიდან არიან სხვადასხვა სამეცნიერო თუ პრაქტიკულ პროექტებში, რაც ადასტურებთ მათ დარგობრივ კომპეტენციას.

მოწვეული პერსონალის და მასწავლებელთა კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებისა და კომპეტენციით.

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N03 29.06.2017
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით N04 27.07.2017
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და CV-ები. მ.შ CV-ები ფაკულტეტის ვებგვერდზე https://bsu.edu.ge/sub-14/persons/index.html
- ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/58 24.12.2021
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N01-11/77 25.10.2017
- უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით N01-08/25 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება 01-10/70 24.06.2022 ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებაში N01-10/68 24.06.2022 ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N03 ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის N07-01/16 გადაწყვეტილება ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	3	5	5
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 33 ძირითადი პერსონალიდან, 8 დარგის სპეციალისტია, რომელთაგან ყველა აფილირებულია 3 პროფესორია და 5 ასოცირებული პროფესორი, ყველა მთაგანი ჩართულები არიან მაგისტრანტთა ხელმძღვანელობაში.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები პროფესიონალი აკადემიური პერსონალია. მაგისტრანტებს უწევენ სათანადო კონსულტაციებს და ისინი კმაყოფილები არიან პროგრამის აკადემიური პერსონალით.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების ბიოგრაფიული რეზიუმეების შესწავლის საფუძველზე დგინდება მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა მოთხოვნებთან. მათ აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და CV-ები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონერებს რიგი მარეგულირებლით დოკუმენტებისა, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამებში ჩართული პერსონალის შეფასება და ანალიზი.

უსდ აკადემიური საბჭოს დადგენილებით №46 29.06.2017 არეგულირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესს. მასში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცედურები; აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და მიღებული შედეგების გამოყენების პროცედურა. შეფასების ხორციელდება ბსუ-ში მოქმედი ელექტრონული პორტალის www.apa.bsu.edu.ge გამოყენებით.

უსდ-ში აკადემიური საბჭოს დადგენილებით N66 18.07.2017 რეგულირდება ბსუ-ს სამეცნიერო

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, რომლის საფუძველზე ფასდება სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობა.

უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებას. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის რეგულირება ხდება სხვადასხვა საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტებით: 1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/21 20.04.2022 ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე. ის განსაზღვრავს ტრენინგში / ღონისძიებაში მონაწილეობის, სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის, სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების პრინციპებს. 2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N01-10/61 ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესის, ის ადგენს სხვადასხვა სახის მივლინებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. 3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N36 09.06.2016 უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ. ის განსაზღვრავს მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესს.

ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა გაიარა 10-ზე მეტი ტრენინგი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. უსდ აფინანსებს მიზნობრივ სამეცნიერო გრანტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე, მიღებულია საკმარისი რწმუნება იმისა, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და CV-ები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №46 29.06.2017 ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N66 18.07.2017 ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/21 20.04.2022 ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N01-10/61 ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს დადგენილება N36 09.06.2016 საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მორგებულია სტუდენტის საჭიროებებზე. სტუდენტსა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის დეპარტამენტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საგამოცდო ცენტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების დახმარებით.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით. ისინი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი მუდმივად განახლებადია, ასევე, უნივერსიტეტი ზრუნავს საბიბლიოთეკო, საინფორმაციო თუ ციფრული რესურსების განახლებაზე.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ისე ციფრული ფორმით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა. შერჩევითი შემოწმების შედეგად დადასტურდა ბიბლიოთეკაში სამაგისტრო პროგრამის მიერ გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა. სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები, როგორიცაა:

- Cambridge Journals Online;
- BioOne Complete;
- e-Duke Journals Scholarly Collection;
- IMechE Journals;
- IMF eLibrary;
- New England Journal of Medicine;
- SAGE Premier და სხვ.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ცალკეა კომპიუტერული კლასები, საკონფერენციო დარბაზი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს ელექტრონული ბიბლიოთეკის, ინტერნეტის, შიდა ქსელისა და კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებას.

საყურადღებოა სტუდენტთა გამოკითხვების და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა „სტუდენტური პორტალი". სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები.

ამასთან, საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, შემოწმდეს აკადემიური კეთილსინდისიერება სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესში.

ამდენად, სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სავალდებულო საგნების სილაბუსები;

- უსდ-ს მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება - ბიბლიოთეკა;
- ბსუ–ს ბიბლიოთეკა;
- ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- ბსუ-ს დაცვის და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება
- ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/04 გადაწყვეტილება „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ“;
- ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დებულება;
- ბსუ-ს საგამოცდო ცენტრის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.bsu.edu.ge ;
- სტუდენტური პორტალი www.portal.bsu.edu.ge ;
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N03 გადაწყვეტილება „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და ანგარიშვალდებულების თანდართული წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტიდან ჩანს, რომ პროგრამა ფინანსური თვალსაზრისით უზრუნველყოფილია და ფინანსური რესურსის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა სტუდენტთა სწავლის საზღაური.

რაც შეეხება ბიუჯეტის კონკრეტულ ნაწილებს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- საბიბლიოთეკო ფონდის განახლების ხარჯები;
- ფაკულტეტის ინვენტარის განახლების ხარჯები;
- ტექნოლოგიური განახლების ხარჯები;
- ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯები;
- სამივლინებო ხარჯები და სხვა.

აქვე აღნიშვნის ღირსია ის, რომ პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა:

- თეზისების კრებულის გამოცემის ხარჯები;
- აკადემიური პირ(ებ)ის სამეცნიერო პუბლიკაციის (Scopus, Web of Science) გამოქვეყნების დაფინანსება ერთხელ 70%, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა;
- უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნა, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემა;
- ტრენინგთან დაკავშირებული ხარჯები და ა.შ.

ფაქტობრივად 2021 და 2022 წლების პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტები ძირითად კომპონენტებში ემთხვევა. უნივერსიტეტს ვთხოვეთ, მოეწოდებინათ 2023 წლის პროგრამის ბიუჯეტი, დღის ბოლოს კი მივიღეთ ამ წლის უნივერსიტეტის ცენტრალური საბიუჯეტო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ფინანსური რესურსები ფაკულტეტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სამომავლოდ უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წლის ბოლოსთვის სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მომავალი წლის პროგრამის ბიუჯეტი. ინტერვიუზე დადგინდა, რომ, გარდა სტუდენტთა სწავლის საზღაურისა, ფაკულტეტის ბიუჯეტი ივსება აჭარის ცენტრალური ბიუჯეტიდან, რაც უნივერსიტეტის მხარდაჭერის უდავოდ მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. ამასთან, ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამ წლისთვის დაგეგმილია პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ზრდა. უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას, საჭიროებისამებრ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოიტვირთოს გარკვეული ხარჯები პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად.

ამდენად, ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი ფინანსურად მდგრადია და პასუხობს პროგრამით გათვალისწინებულ აუცილებელ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილება „ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის 07-01/21 გადაწყვეტილება უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისთვის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „ტურიზმის მენეჯმენტის“ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ N01-10/153 ბრძანება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი იმ წლის მიხედვით, რომელიც უნდა შემოწმდეს ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც აერთიანებს სწავლა-სწავლების, კვლევისა და საუნივერსიტეტო მომსახურებების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებული შიდა რეგულაციების, უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე.

უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში ჩართული არიან როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, ისე სტუდენტები და კურსდამთავრებულები. უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემა და საქმიანობა ხორციელდება „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე“ ციკლის დაცვით, რაც, თავის მხრივ, პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) მონაწილეობას ისახავს მიზნად.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ჰქონდათ აქცენტი გადატანილი პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება-გაზრდაზე. ეს გარკვეულწილად აისახა პროგრამაში. ამასთან, დადგინდა, რომ დამსაქმებელთა ნაწილი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო და უნივერსიტეტთან არ წყვეტდა კავშირს, ამჯერად კი თანამშრომლობდა უნივერსიტეტთან დამსაქმებლის რანგში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, კურსდამთავრებულის კავშირი უნივერსიტეტთან უწყვეტია, მეორე მხრივ, დამსაქმებლის სტატუსით ოპერირებისას აწვდის უნივერსიტეტს ბაზრის საჭიროებებს და ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სამაგისტრო პროგრამაში ასახოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი ცვლილებები. როგორც აღინიშნა, მათ არა მხოლოდ გამოკითხვების ფორმით ჰქონდათ კომუნიკაცია უნივერსიტეტთან, არამედ ზოგჯერ შეხვედრებშიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუს თანახმად, პროგრამაში ჩართული არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისინი თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან პროგრამის დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით. ამავე დროს, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის წესი, რაც გულისხმობს სააუდიტორიო მუშაობის სისტემატურ შეფასებას ისეთი მეთოდების დახმარებით, როგორიცაა: კოლეგიალური შეფასება ურთიერთდასწრებით, სტუდენტთა ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი, აკადემიური მოსწრების ანალიზი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გამოკითხვები და ა.შ. ამ პროცესში მუშავდება რეკომენდაციები და საჭიროებისამებრ შედის ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში.

როგორც დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე რამდენიმე მიმართულებით წარიმართა მუშაობა:

- პროგრამის სხვადასხვა ელემენტის განხილვა სამუშაო ჯგუფში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- პროგრამის შეფასება კურიკულუმის კომიტეტში;
- თვითშეფასების კითხვარის შედგენა.

ამის შემდეგ მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა პროგრამაში ჩართული პერსონალი. გამოიკვეთა უნივერსიტეტის ხარისხის მართვის რეგულაციებით გათვალისწინებული რეკომენდაციები, რომლებიც გაანალიზების საფუძველზე საჭიროებისამებრ აისახა პროგრამაში.

ამასთან, პროგრამის შეფასებაში მონაწილეობდა პროგრამაში ჩართული პერსონალი ინტერვიუს თუ ანკეტირების საშუალებით. მათი დახმარებით დადგინდა პროგრამის აუცილებელი საჭიროებები თუ ნაკლოვანი მხარეები, რომელთა გასასწორებლად გატარდა კონკრეტული ღონისძიებები (ცვლილებები შევიდა სასწავლო კურსში „სტრატეგიული მარკეტინგი“, მოდიფიცირება განიცადა საგნის „ბიზნესის ეთიკის“ სილაბუსმა და სხვ.). ამ გზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოიყენა შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ასევე, უმნიშვნელოვანესია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საკითხი. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შესახებ წესი, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობების შეფასებას. შეფასების პროცესში მიღებული შედეგები ანალიზდება და გაანალიზების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გამოიყენება პროგრამის დახვეწის მიზნით. ამ პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახური. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასების წესი და მათი წახალისების მექანიზმი არაა მხოლოდ ფურცელზე დაწერილი, ის პრაქტიკაშიც გამოიყენება და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალიდან ზოგიერთს უსარგებლია კიდეც წახალისების ღონისძიებებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ნათლად გამოხატავს უნივერსიტეტის მხრიდან

პროფესორ-მასწავლებელთა მხარდაჭერას და თუ გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა, მნიშვნელოვანწილად აისახება ეს საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაზეც.

აქვე აღნიშვნის ღირსია, რომ უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებას, სხვადასხვა ბიუროკრატიული მექანიზმის გარეშე გამარტივებულ წარმოებას. პორტალის დახმარებით უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს სტუდენტებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციებისგან კონკრეტული რეკომენდაციები, ასევე, საჭიროებების შესახებ ინფორმაცია და დაამუშავოს მიღებული მონაცემები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ამდენად, პორტალი ხელს უწყობს უნივერსიტეტთან სტუდენტებისა და დამსაქმებელი ორგანიზაციების კომუნიკაციას.

ამდენად, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის ინსტრუმენტები და ხარისხის უზრუნველყოფა იზიარებს პრინციპს, რომლის თანახმად, თავდაპირველად აუცილებელია პროგრამის დაგეგმვითი ღონისძიებების ჩატარება, შემდეგ - პროგრამის განხორციელება, რასაც მოჰყვება შემოწმება და თუ გამოიკვეთა ხარვეზები, შემდეგ მუშავდება განვითარებაზე ორიენტირებული მოქმედებები და შედის ცვლილებები პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის გვერდი: www.bsu.edu.ge ;
- ელექტრონული სისტემა: www.apa.bsu.edu.ge ;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტროს N06-01-91 დადგენილება „სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- გამოკითხვები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N65/ნ ბრძანების მიხედვით, დადგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების გარე მექანიზმები. ასევე, პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანებას. გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმისა, უნივერსიტეტი იყენებს გარე მექანიზმებს სწავლებისა და კვლევის ხარისხი დახვეწის მიზნით. სწორედ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს, რათა მიღებული შედეგების საფუძველზე გაუმჯობესოს პროგრამა. ინტერვიუ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი მუშაობდა აკრედიტაციის პროცესისას გაცემულ რეკომენდაციებზე. ამასთან, თვითშეფასების დოკუმენტი შეიცავს დეტალურ მონაცემებს აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში არსებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. პირობითი აკრედიტაციისას იყო გამოთქმული დარგობრივი მნიშვნელობის რეკომენდაციები, რომელთა შესრულების საკითხი დარგის სპეციალისტების საგანია. როგორც ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, წარმოდგენილი რეკომენდაციები, ძირითადად, შესრულებულია, უბრალოდ თუ გამოითქვა რაიმე მიგნება, ამის მიზანი იქნება პროგრამის გაუმჯობესება-დახვეწა.

აკრედიტაციის 5.2 სტანდარტი ეხება გარე ხარისხის შეფასებას, რომელიც მოიაზრებს წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხს, მაგრამ უნივერსიტეტს თვითშეფასების დოკუმენტში გარე კოლეგიალური შემფასებლის დასკვნები აქვს მითითებული. შესაბამისად, დგინდება კოლეგიალური შეფასების ხარისხის გარე შეფასებისგან გამიჯვნის საჭიროება, გარე კოლეგიალური შეფასების შესახებ მონაცემები კი უნდა აისახოს 5.3 სტანდარტში (და არა 5.2 სტანდარტში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება;
- გარე კოლეგიალური შეფასებები;
- პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისაგან.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, ისე პერიოდული შეფასების პროცესები, რომლებსაც კურირებს ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ისინი დებულების ფარგლებში, კომპეტენციის მიხედვით, ოპერირებენ და აფასებენ პროგრამას, სასწავლო პროცესს, ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, საუნივერსიტეტო მომსახურებას და იყენებენ გაუმჯობესების მექანიზმებს.

ამავე დროს, პროგრამის შეფასება-განვითარებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რომელიც აერთიანებს სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო თუ საგამოცდო დავალებების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგსა და მიღებული შედეგების ანალიზს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემთა შეგროვება-ანალიზს, პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგების შესწავლას, შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან მათ და პროგრამის შინაარსის შემოწმება-უზრუნველყოფას.

სააუდიტორიო მუშაობის მონიტორინგის დროს აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და სასწავლო მასალების განახლების, სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენების, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენის, სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის დასწრება/ურთიერთდასწრების მონიტორინგი. ექსპერტთა ჯგუფი შენიშნავს, რომ სილაბუსების გადახედვის, სასწავლო მასალების განახლების მიმართულების ჩანს მონიტორინგის გაძლიერების საჭიროება (იხ. დასკვნის 1.4. სტანდარტი).

სასწავლო პროცესის ორგანიზების მონიტორინგის ფარგლებში მოიაზრება სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის, სასწავლო ცხრილების თაობაზე სტუდენტთა ინფორმირების, საკონსულტაციო მომსახურების, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაბამისობის მონიტორინგი და სხვ.

რაც შეეხება საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ამ შემთხვევაში მოწმდება შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალები სასწავლო კურსის სილაბუსსა (კურსის შინაარსი, მისაღწევი შედეგები, შეფასების ფორმა) და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ასევე, მოცემულ ნაწილში გასათვალისწინებელია სტუდენტთა ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების გამოყენების, განმავითარებელი შეფასების შედეგების უკუკავშირის და შეფასების ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით.

გარდა ამისა, ცალ-ცალკე ანალიზს ექვემდებარება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რათა თვისობრივი და სტატისტიკური ანალიზის გზით დადგინდეს არსებული მდგომარეობა და განისაზღვროს პრობლემების გადაწყვეტის გზები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტთათვის მნიშვნელოვანია აკადემიური წერის სტანდარტებსა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდება, რაც გაუმარტივებთ მათ კვლევით ნაშრომზე მუშაობას. კურსდამთავრებულთა გამოკითხვებმა დაადასტურა, რომ პრობლემურია ემპირიულ მონაცემთა შეგროვება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, სამაგისტრო თემატიკა კავშირში იყოს პრაქტიკასთან და პრაქტიკის დროს სტუდენტმა იცოდეს მისი სამაგისტრო თემის ძირითადი მონახაზი

და პრაქტიკის ობიექტი შეირჩეს შესაბამისად, ხოლო პრაქტიკის ერთ-ერთი ამოცანა სამაგისტრო ნაშრომისთვის ემპირიულ მონაცემთა შეგროვება იყოს. თუმცა მათ ინტერვიუს დროს გამოთქვეს, რომ უმთავრესია აკადემიური წერის მინიმალური სტანდარტების ირგვლივ მეტი ინფორმირება. ამასთან, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური წერისა და ბიზნეს სამართლის ძირითადი საფუძვლების შეთავაზება უდავოდ კარგი იქნებოდა. მათი აზრით, ამ გზით სტუდენტთა დაინტერესების სფეროები უფრო სრულად დაიფარებოდა. ექსპერტთა ჯგუფის მიიჩნევს, რომ პროგრამაშიც იგრძნობა ამ კომპონენტების გათვალისწინების საჭიროება. სამაგისტრო ნაშრომების გადახედვამაც დაადასტურა აკადემიური წერის მინიმალური სტანდარტების დაცვაზე მეტი აქცენტების გაკეთებისა და მონიტორინგის გაძლიერების აუცილებლობა (იხ. დასკვნის 2.2 კომპონენტი).

აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში როგორც მაგისტრანტებს, ისე ლექტორებს ურჩევნიათ სასწავლო პროცესის დაწყება 19:00 ან 19:30 საათზე. საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მათი ეს სურვილი. თუმცა ლექტორებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ 17:00 ან 18:00 საათზე ლექციის დაწყება იყო მათთვის მისაღები. ამასთან, ფაქტობრივად ანალოგიური პასუხები მივიღეთ სტუდენტთა ნაწილისგან. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით დგას სტუდენტთა და ლექტორთა საჭიროებების უფრო მეტად ნათლად დაზუსტების აუცილებლობა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა გამოკითხვებისას მათი სურვილი იყო მეტი პრაქტიკული საათების ასახვა ზოგიერთ სასწავლო კურსში, რის შედეგადაც პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ იკვეთება მემორანდუმების სათანადოდ გაფორმების საჭიროება მოქმედების ვადისა და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მიმართულებით (იხ. დასკვნის 2.2. კომპონენტი).

ამასთან, სამაგისტრო პროგრამის ხარისხის ასამაღლებლად კარგი იქნება, სამეცნიერო-კვლევითი ნაწილი და სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეფასდეს. ეს მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურისთვის, რადგან ამ ეტაპზე შემოდის კვლევითი კომპონენტი და ამ მიმართულებით სპეციალური გამოკითხვა ხელს შეუწყობს სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებას.

როგორც ინტერვიუსა და დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, უნივერსიტეტი იყენებს ანალოგ პროგრამებთან დადარების მექანიზმს. სახელდობრ, უნივერსიტეტმა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში გააანალიზა ორი პროგრამა: 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი); 2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა.

რაც შეეხება უცხოურ ანალოგ პროგრამებს, ამ ფარგლებში გამოყენებულია ენერსვალდეს მდგრადი განვითარების უნივერსიტეტის მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტის, საინტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის ურბანული ტურიზმისა და ტურისტული ბიზნესის მენეჯმენტის, ბოლონიის უნივერსიტეტის ტურიზმის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ბრემენის უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ტურიზმის მენეჯმენტის, ტურიბანას უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტისა და ევროკავშირსის სკოლის დასვენებისა და ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამები. მათი როგორც მიზნებისა და შედეგების, ისე სასწავლო კურსების დასახელების შემდეგ წარმოდგენილია ამ პროგრამების შესახებ მოკლე დასკვნები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ანალოგ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი ცალკე დოკუმენტია და ის არ უნდა იყოს ინტეგრირებული შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშში, რომელიც დამოუკიდებელ დოკუმენტად განიხილება. ეს მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზმა გამოკვეთოს პროგრამებს შორის მსგავსება-განსხვავება და უშუალოდ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის უნიკალურობა ანალოგ პროგრამებთან შედარებით. შესაბამისად, ჩანს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ანალოგ პროგრამებთან დადარებისას მსგავსება-განსხვავებების უფრო ნათლად და დეტალურად წარმოჩენის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.bsu.edu.ge ;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები;
- მემორანდუმები;
- ანალოგ პროგრამებთან დადარება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის აღწერილობა/ფუნქციები;
- პროგრამის შეფასება პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან;
- პირობითი აკრედიტაციის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება (MES 1 20 0001243301);
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის 07-01/21 გადაწყვეტილება უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისთვის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/90 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი, განსაკუთრებით სამიზნე ნიშნულების გადამუშავების, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, აკადემიური წერის სტანდარტებზე მეტად ყურადღების გამახვილების, სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების, და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ცალკე ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასების თაობაზე სპეციალური გამოკითხვა.
- სასურველია, ცალკე შემუშავდეს ანალოგ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი, რომელიც უფრო ნათლად ასახავს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასა და ანალოგ პროგრამებს შორის განსხვავებებს, პროგრამაში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების დეტალებს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„ტურიზმის მენეჯმენტი“
უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა გეგეშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ეკა ლეკაშვილი

მიხეილ ბიჭია

სოსო გაზდელიანი